აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

1 მარტი, 2018

დადგენილება №63(17/18)
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპორტული სექციის, კულტურული და სახელოვნებო კლუბის შექმნის, მართვისა და შეფასების პროცედურის დამტკიცების შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპორტული სექციის, კულტურული და სახელოვნებო კლუბის შექმნის, მართვისა და შეფასების პროცედურა თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი

სპორტული სექციის, კულტურული და სახელოვნებო კლუბის შექმნის, მართვისა და შეფასების პროცედურა

პროცედურის ტიპი: ოპერაციული

1. **პროცედურის მიზანი**

პროცედურის მიზანს წარმოადენს უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და თანამშრომელთა სპორტულ, კულტურულ და სახელოვნებო საქმიანობის ხელშეწყობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მხარდაჭერის მიზნით სპორტული სექციის, კულტურული და სახელოვნებო კლუბების მართვა.

2. **პროცედურის მოქმედების სფერო**

პროცედურა გამოიყენება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის (შემდეგში - „ცენტრი“) მიერ უნივერსიტეტში სპორტულ, კულტურულ და სახელოვნებო საქმიანობის განხორციელებისას.

3. **პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა**

პროცედურის განხორციელებაზე და საქმიანობათა კოორდინაციაზე პასუხიმგებელია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკონსულტაციო ფუნქციით შეიძლება ჩართული იქნეს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული.

4. **პროცედურის აღწერა**

სპორტული სექციის, კულტურული და სახელოვნებო კლუბის შექმნის, მართვისა და შეფასების პროცედურა შედგება სამი სახის პროცესისაგან:

1. ახალი სექციის / კლუბის ჩამოყალიბების პროცესი;
2. არსებული სექციის / კლუბის მუშაობის უზრუნველყოფის პროცესი;
3. სამუშაოთა შეფასების პროცესი.

სამუშაოთა შეფასების პროცესი არის უნივერსალური და გამოიყენება რათა შეფასდეს სპორტული სექციის, კულტურული და სახელოვნებო კლუბის, ასევე სექციათა და კლუბების ხელმძღვანელთა და უნივერსიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის მუშაობის ეფექტიანობა.

4.1 ახალი სექციის / კლუბის ჩამოყალიბების პროცესი

ახალი სპორტული სექციის, კულტურული და სახელოვნებო კლუბის ჩამოყალიბების პროცესი აღწერს საქმიანობას, რომელიც აუცილებელია ჩატარდეს ახალი სპორტული სექციის, კულტურული და სახელოვნებო კლუბის ჩამოსაყალიბებლად, აგრეთვე ადგენს ვადებს და განსაზღვრავს პროცესის განხორცილებაზე პასუხისმგებელ პირებს,

ახალი სპორტული სექციის, კულტურული და სახელოვნებო კლუბის ჩამოყალიბების წინაპირობას წარმოადგენს:

1. **სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და თანამშრომელთა განწყობის კვლევის ანგარიში.**

ყოველწლიურად კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი და მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური, ერთობლივად ატარებს კვლევას უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და თანამშრომელთა სპორტულ, კულტურულ და სახელოვნებო საქმიანობაში ჩართულობისათვის მზაობისა და სასურველი საქმიანობის დასადგენად; ასევე, ცენტრი ეყრდნობა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებულ კვლევას, უნივერსიტეტის პირველკურსელთა ექსტრაკულიკულარული აქტივობის შესახებ;

2. **ახალი სექციისა ან კლუბის შექმნის საინიციატივო წინადადება.**

უნივერსიტეტის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებლებისა და თანამშრომელთა არანაკლებ 10 კაციანი საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს წერილობითი განცხადებით მიმართოს ცენტრს ახალი სექციისა ან კლუბის შექმნის წინადადებით. განცხადებას თან უნდა ერთოდეს ჯგუფის საკონტაქტო პირის საკონტაქტო ინფორმაცია;

3. **არსებულ სპორტული სექციებში და/ან კულტურული და სახელოვნებო კლუბებში წევრთა ზღვრული ოდენობის გადაჭარბება.**

სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებლებისა და თანამშრომელთა ცენტრში წერილობითი განცხადება არსებულ სექციებში ან კლუბში გაწევრიანების მოთხოვნით;

4. **არსებული სპორტული სექციებისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბების მუშაობის ოპტიმიზაციის საქმიანობა.**

ყოველწლიურად ცენტრის ახორციელებს სპორტული სექციებისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბების ხელმძღვანელთა ანგარიშებზე დაყრდნობით სექციებისა და კლუბების სამუშაოს შეფასებას;

ცენტრი წელიწადში ერთხელ ახდენს შეფასებას ახალი სპორტული სექციის, კულტურული და სახელოვნებო კლუბების საჭიროებაზე, ხოლო წელიწადში ორჯერ, ყოველი სემესტრის დასაწყისში განიხილავს საინიციატივო წინადადებებს, რისთვისაც არაუგვიანეს 20 დღისა ცენტრი უგზავნის ინფორმაციას მარკეტინგისა, პროექტების და ღონისძიებების მართვისა სამსახურის, რომელიც აქვეყნებს მას ყველა საუნივერსიტეტო საინფორმაციო არხის საშუალებით.

პროცესის შემდეგ ნაბიჯზე მიმდინარეობს გადაწყვეტილების მიღება ახალი სპორტული სექციის, კულტურული და სახელოვნებო კლუბის ჩამოყალიბების მიზანშეწონილების შესახებ. გადაწყვეტილების მიღების პროცესი გრძელდება არაუმეტეს 20 სამუშაო დღისა. ამისათვის ცენტრის თანამშრომლები:

1. ახდენს იდენტიფიცირებას კონკრეტულად რა ტიპის სპორტული სექციის, კულტურული და სახელოვნებო კლუბის ჩამოყალიბება არის საჭირო, ხომ არ შეიძლება გამოყენებული იქნეს არსებული სექცია ანდა კლუბი, მათ სამუშაო გეგმაში ცვლილების შეტანით;
2. წინასწარ აფასებს თუ რა ინვენტარი, ანდა რა სამუშაო სივრცე არის საჭირო. უნდა განისაზღვროს ინვენტარის ტიპი და საჭირო რაოდენობა.
3. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით ახდენს ინვენტარისა და სამუშაო სივრცის ხელმისაწვდომობის შეფასებას; უნდა შეფასდეს არის თუ არა მოთხოვნების შესაბამის სამუშაო სივრცე, ინვენტარის ტიპი და ხელმისაწვდომი რაოდენობა და სხვა საკითხები;

4. შეფასებებზე დაყრდნობით ატარებს კონსულტაციებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ახალი სპორტული სექციის, კულტურული და სახელოვნებო კლუბის ჩამოყალიბების პროცესის ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფის შესაძლებლობის შესახებ;

5. სპორტული სექციისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბების ხელმძღვანელის თანამდებობაზე მაღალკვალიფიციური პერსონალის მოძიების მიზნით ცენტრი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთა ერთად, აყალიბებს კლუბების ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობას;

სპორტული სექციისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბების ჩამოყალიბების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ცენტრი უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს კანცლერის მიერ ვიზირებულ მოხსენებით ბარათს, რომელსაც თან დაურთავს ინვენტარისა ანდა სამუშაო სივრცისადმი მოთხოვნების აღწერას, მისი ხელმისაწვდომობის შეფასების ანგარიშს, სპორტული სექციისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბების ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობას;

საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოტანილ განცხადებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია 2 სამუშაო დღის განმალობაში წერილობით ეცნობება ჯგუფის საკონტაქტო პირს;

დადებითი გადაწყვეტილებისას, საჭიროების შემთხვევაში ცენტრი სპორტული სექციისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბების ხელმძღვანელის შერჩევის მიზნით აცხადებს ღია კონკურსს;

სპორტული სექციისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბების ხელმძღვანელის დანიშვნის შემდეგ ხდება საჭირო ინვენტარისა და სივრცის დაზუსტება, აგრეთვე დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში ხელმძღვანელის მიერ ცენტრს წარედგინება ერთ წლიანი სამუშაო გეგმასა და სამუშაოს განრიგს;

ცენტრის წარდგენის საფუძველზე უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ახალი სპორტული სექციისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბების ფორმირებისათვის საჭირო ინვენტარისა და სამუშაო სივრცის მომზადებას. თუ საჭიროა დამატებითი ინვენტარის შეძენა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ახორციელებს შესყიდვებს;

სტუდენტების და უნივერსიტეტის თანამშრომელთა ინფორმირებისათვის ახალი სპორტული სექციისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბების ხელმისაწვდომობის შესახებ ცენტრი უგზავნის ინფორმაციას მარკეტინგისა, პროექტების და ღონისძიებების მართვისა სამსახურის, რომელიც აქვეყნებს მას ყველა საუნივერსიტეტო საინფორმაციო არხის საშუალებით;

ახალი სპორტული სექციაში და კულტურულ-სახელოვნებო კლუბებში გაწევრიანების მსურველთა შეუფერხებლად რეგისტრაციის მიზნით სტუდენტური სერვისების სამსახური ახდენს მსურველთა განცხადებების მიღებას და ცენტრში გადმოცემას.

4.2 არსებული სექციის / კლუბის მუშაობის უზრუნველყოფის პროცესი

არსებული სექციის/კლუბის მუშაობის პროცესი აღწერს: საქმიანობას, რომელიც აუცილებელია ჩატარდეს არსებული სპორტული სექციის, კულტურული და სახელოვნებო კლუბის ეფექტიანი მუშობისათვის, აგრეთვე ვადებსა და პროცესის განხორციელებზე პასუხიმგებელ პირებს;

ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 20 დღით ადრე ცენტრის თანამშრომლები სპორტული სექციისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბების ხელმძღვანელთან ერთად აფასებენ დამატებით ხომ არ არის საჭირო ინვენტარი ანდა სამუშაო სივრცე. აგრეთვე უნდა განისაზღვროს ინვენტარის ტიპი და საჭირო რაოდენობა;

საჭიროების შემთხვევაში, ცენტრი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით ახდენს ინვენტარისა და სამუშაო სივრცის ხელმისაწვდომობის შეფასებას, უნდა შეფასდეს არის თუ არა მოთხოვნების შესაბამის სამუშაო სივრცე, ინვენტარის ტიპი და ხელმისაწვდომი რაოდენობა და სხვა საკითხები;

ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღით ადრე სპორტული სექციისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბების ხელმძღვანელი ცენტრში წარადგენს ერთწლიან სამუშაო გეგმასა და მუშაობის განრიგს;

სპორტული სექციაში და კულტურულ-სახელოვნებო კლუბებში წევრთა მოზიდვის უზრუნველსაყოფად ცენტრი აწვდის ინფორმაციას სტუდენტური სერვისების სამსახურს, რათა მათოპერატიულად მოახდინონ მსურველთა განცხადებების მიღება და ცენტრში გადმოცემა;

სტუდენტების და უნივერსიტეტის თანამშრომელთა ინფორმირებისათვის არსებულ სპორტული სექციისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბების ხელმისაწვდომობის შესახებ, ცენტრი ინფორმაციას უგზავნის მარკეტინგისა, პროექტების და ღონისძიებების მართვისა სამსახურის, რომელიც აქვეყნებს მას ყველა საინფორმაციო არხის საშუალებით.

4.3 სამუშაოთა შეფასების პროცესი

სამუშაოთა შეფასების პროცესით ხდება სპორტული სექციისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბებისა და მისი ხელმძღვანელის მუშაობის შეფასება და შედეგებზე რეაგირების უზრუნველყოფა;

სპორტული სექციისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბების ხელმძღვანელებთან ხელშეკრულების გაგრძელების წინაპირობაა მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება;

სპორტული სექციისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბების მუშაობის მონიტორინგი მიმდინარეობს დადგენილი გრაფიკის მიხედვით, ხოლო შეფასება სასწავლო წლის ბოლოს ხელმძღვანელთა ანგარიშებისა და შესაბამისი დარგების კოორდინატორთა ინფორმაციის საფუძველზე, ასევე სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშის გათვალისწინებით;

სპორტული სექციების შემთხვევაში შეფასება ხორციელდება: საერთაშორისო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ სპორტულ ასპარეზობებზე უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობა და წარმატებები, ასევე იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს სექცია უნივერსიტეტის სტუდენტებთან, მათი მასობრივ-სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის თვალსაზრისით;
სახელოვნებო და კულტურული კლუბების შემთხვევაში შეფასება ხორციელდება სახელოვნებო კლუბების საქმიანობის ანალიზის საშუალებით, საერთაშორისო თუ რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონცერტებში მონაწილეობისას მათი წარმატებების კვალობაზე;

წელიწადში ერთხელ ხორციელდება ცენტრის მუშაობის შეფასება და ცენტრის ანგარიშის მომზადება საჭიროების შემთხვევაში იგეგმება კონკრეტული ღონისძიებები სპორტული სექციისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბების შემდგომი საქმიანობის განვითარებისათვის;

სპორტული სექციისა და კულტურულ-სახელოვნებო კლუბების ოპტიმიზაცია ხორციელდება ხელმძღვანელის მუშაობის ანგარიშის ანალიზში და სტუდენტური კმაყოფილების კვლევაში არადამაკმაყოფილებელი შედეგების მიღებისას ანდა წევრთა ოდენობის მკვეთრი ზრდისას.